



საქმე №18/578-12

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

25 თებერვალი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

ლიკა ჭილაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებლის: მ.გ.-ს

მსჯავრდებულის: ს.გ.-ს

ადვოკატის: რ.თ.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ ს.გ.-ს და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის რ.თ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამომიების №XXXXXXXXXXXX): ს.ს.-მე გ.-ს, საქართველოს მოქალაქის (პირადი №XXXXXXXXXXXX), დაბადებულის 1961 წლის 12 მარტს, უმაღლესი განათლებით, ნასამართლობის არმქონის, დაოჯახებულის, რეგისტრირებულის: ქ.თბილისში, მეტეხის შესახვევი №21, მცხოვრების ქ. თ.-ში, მ.-ს ქუჩა №X, ამჟამად პატიმრის მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი).

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს.გ.-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (დაზარალებულ ნ.რ.-ს ეპიზოდი);

მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (დაზარალებულ რ.ს.-ს ეპიზოდი);

მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (დაზარალებულ ლ.ბ.-ს ეპიზოდი);

ს.გ.-ს დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის იანვარში ს.გ.-მ გაიცნო ნ.რ., რომელთანაც ჩამოუყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. ს.გ.-სთვის ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს, ნ.რ.-მ, საკუთარი „BMW“-ს მარკის ავტომანქანით, დაბა ს.-ში მოძრაობისას მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის შედეგად გარდაიცვალა მოქ. ო.ს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქ. გორის საპატრულო პოლიციაში დაიწყო გამოძიება და შემდგომში ნ.რ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ს.გ.-მ ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ნ.რ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ამ მიზნით ს.გ. ნდობაში შევიდა ნ.რ.-სთან და განუცხადა, რომ იგი, თითქოსდა, დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის გარკვეული ოდენობის ფულადი თანხის გადახდის შემთხვევაში შეძლებდა გარდაცვლილ ო.ს.-ს ოჯახის წევრებთან წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას, ასევე შეჰპირდა პრობლემების მოგვარებას გორის რაიონულ პროკურატურაში. ნ.რ. ს.გ.-ს წინადადებას დასთანხმდა და დარწმუნებულმა იმაში, რომ ს.გ. მის სასარგებლოდ იმოქმედებდა, ამ უკანასკნელს, გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის გადასაცემად, ეტაპობრივად გადასცა ფულადი თანხები, რამაც მთლიანობაში შეადგინა 1560 აშშ დოლარი, 1050 ლარი და 100 ევრო. ს.გ.-მ, მოქმედებდა რა თაღლითური განზრახვით, შეთანხმების პირობა არ შეასრულა, არ გადასცა ნ.რ.-სათვის გამორთმეული ფული ო.ს.-ს ოჯახის წევრებს და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ნ.რ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ს.გ.-ს დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულ ნ.რ.-სათვის 3870 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებით ს.გ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული;

2009 წლის აპრილის დასაწყისში ს.გ.-მ თავისი ნაცნობის მ.ქ.-ს მეშვეობით გაიცნო რ.ს. ს.გ.-სათვის მ.ქ.-საგან წინასწარ ცნობილი იყო, რომ რ.ს.-ს და მ.ს. დაკავებული იყო დანაშაულის ჩადენისათვის. ს.გ.-მ ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა რ.ს.-ს კუთვნილ ფულად თანხას, ამ მიზნით იგი ნდობაში შევიდა რ.ს.-სთან და განუცხადა, რომ, თითქოსდა, იგი პროკურატურის თანამშრომელი იყო, მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე და შეეძლო საპროცესო შეთანხმების გაფორმების გზით მ.ს.-ს პატიმრობიდან გათავისუფლება. აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად ს.გ.-მ რ.ს.-ს მოსთხოვა გადაეხადა მისთვის 3500 აშშ დოლარი. ეს უკანასკნელი დასთანხმდა ს.გ.-ს წინადადებას და დარწმუნებულმა იმაში, რომ ს.გ. მის სასარგებლოდ იმოქმედებდა, გადასცა მას ჯერ 2000 აშშ დოლარი ხოლო შემდეგ – 1500 აშშ დოლარი. ს.გ.-მა, მოქმედებდა რა თაღლითური განზრახვით, შეთანხმების პირობა არ შეასრულა და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა რ.ს.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ს.გ.-ს დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულ რ.ს.-სათვის 6100 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებით ს.გ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული;

2010 წლის მაისში ს.გ.-მ გაიცნო ლ.ბ. მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის ივნისში ლ.ბ.-მ იპოთეკით დატვირთა თავისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინა მისამართზე: ქ. თბილისში, ქ.-ს ქ. XX. ლ.ბ.-მ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რის გამოც ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე გახდა იპოთეკარი ლ.ს. აღნიშნულის გამო ლ.ბ.-ს სურდა თანხების მოძიება თავისი საცხოვრებელი ბინის უკან გამოსყიდვის მიზნით. ს.გ.-მ ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ლ.ბ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ამ მიზნით, 2010 წლის მაისის ბოლოს, ქ. თ.-ში მეტროს სადგურ „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ს.გ. შეხვდა ლ.ბ.-ს, მოიპოვა მისი ნდობა, შეჰპირდა დახმარებას და განუცხადა, რომ, თითქოსდა, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ იგი შეძლებდა ბანკიდან სესხის სახით ფულის გამოტანას, რის შემდგომაც ლ.ბ. თავის ყოფილ საცხოვრებელ სახლს უკან გამოსყიდიდა იპოთეკარისგან. ლ.ბ. დასთანხმდა ს.გ.-ს წინადადებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ ს.გ. მის სასარგებლოდ იმოქმედებდა და ეტაპობრივად, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ს.გ.-ს გადასცა მის მიერ მოთხოვნილი ფულადი თანხები, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 2900 ლარი. ს.გ.-მ, მოქმედებდა რა თაღლითური განზრახვით, შეთანხმების პირობები არ შეასრულა და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ლ.ბ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ს.გ.-ს დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულ ლ.ბ.-სათვის 2900 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებით ს.გ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული;

ერთობლიობაში ს.გ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (სამი ეპიზოდი);

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენით:

ს.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

ს.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

ს.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ს. გ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 (ცამეტი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

ს.გ.-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2012 წლის 23 იანვრიდან;

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ს.გ.-მ და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ.თ.-მ.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით, თავდაპირველად აპელანტი ითხოვდა ს.გ.-ს მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას. სააპელაციო პალატის სხდომაზე დაცვის მხარემ შესავალ და დასკვნით სიტყვებში შეცვალა მოთხოვნა და მოითხოვა ს.გ.-სათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება. იგივე მოითხოვა მსჯავრდებულმა ს.გ.-მ თავის საბოლოო სიტყვაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ს.გ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის e) ქვეპუნქტის თანახმად „თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რაც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეებისთვის“. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის d) ქვეპუნქტის მიხედვით, „ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ამავე კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, „მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება“.

აგრეთვე, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენცია“.

სააპელაციო საჩივარში დაცვის მხარე აპელირებს, რომ ს.გ.-ს არავითარი თაღლითობა არ ჩაუდენია, მას დაზარალებულები არ მოუტყუებია და მის მიერ ე.წ. დაზარალებულებისათვის გამორთმეული ფულადი თანხები იყო ნასესხები ფული, რაც დასჭირდა შვილის სამკურნალოდ.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მსჯავრდებულის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს შემდეგი გარემოებების გამო: პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის არსებითი განხილვის დროს დაკითხულმა დაზარალებულებმა და მოწმეებამ მისცეს დეტალური, თანმიმდევრული ჩვენებები და ს.გ. ამხილეს მოცემული დანაშაულის ჩადენაში. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, როდესაც პირი მოტყუებით ეუფლება სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთს ან მის ქონებრივ უფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სახეზეა თაღლითობის შემადგენლობა. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ის გარემოება, რომ დამნაშავე ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებად იყენებდეს მოტყუებას. თაღლითობის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ მოტყუება, როგორც ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების კონკრეტული საშუალება – ხერხი, წინ უსწრებდეს თაღლითის მიერ ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ფაქტს. ამასთან, მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან/და გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოცემული დანაშაულის სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გარეგნულად ქონების თუ ქონებრივი უფლების გადაცემა დამნაშავეისათვის ხორციელდება ნებაყოფლობით, თავად დაზარალებულის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი ან გამოყენებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი. მოცემულ შემთხვევაში ს.გ. მოქმედებდა განზრახ, მისი ქმედებები უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, გამოიყენა რა მასსა და დაზარალებულებს შორის არსებული ნდობისა და კეთილგანწყობის ფაქტორი, დაეუფლა დაზარალებულების – ნ.რ.-ს, რ.ს.-ს და ლ.ბ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს – შესაბამისად 3870, 6100 და 2900 ლარს, ატყუებდა მათ, რომ იყო პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირი, ექიმი. შეეძლო ამა თუ იმ საქმის მოგვარება, კერძოდ, პროკურატურაში საპროცესო შეთანხმების საკითხის მოგვარება (დაზარალებულ რ.ს.-ს ეპიზოდი), ბანკიდან სესხის გამოტანა (დაზარალებულ ლ.ბ.-ს ეპიზოდი), დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის თანხის გადახდის გზით მათთან პრობლემების მოგვარება (დაზარალებულ ნ.რ.-ს ეპიზოდი). რეალურად კი ს.გ.-ს არც შეეძლო და არც სურდა დაზარალებულებისათვის მიცემული პირობების შესრულება. მისი მიზანი იყო მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დაზარალებულთა კუთვნილ ზემოხსენებულ ფულად თანხებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაკითხულმა დაზარალებულებმა ნ.რ.-მ, ლ.ბ.-მ და რ.ს.-მ უარყვეს ს.გ.-სთან რაიმე სასესხო ურთიერთობების არსებობა, მათ თავიანთი კუთვნილი ფულადი თანხები სესხის სახით კი არ გადასცეს ს.გ.-ს, არამედ თავიანთი გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად, რაშიც მათ დახმარებას ჰპირდებოდა ს.გ. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ.რ.-ს და ლ.ბ.-ს თვითონ სჭირდებოდათ თანხების მოძიება შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე და ისინი ს.გ.-

სვერ ასესხებდნენ ფულს. აქვე პალატა აღნიშნავს, რომ დაცვის მხარეს, გარდა თვითონ მსჯავრდებულის ჩვენებისა, დაზარალებულებისაგან ს.გ.-ს მიერ ფულის სესხების დამადასტურებელი მტკიცებულება არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო ინსტანციაში არ წარმოუდგენია.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა რა გასაჩივრებული განაჩენი, თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ ს.გ.-ს დანაშაულებრივ ქმედებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულების და მოწმეების: რ.ს.-ს, ნ.რ.-ს, ზ.პ.-ს, მ.ქ.-ს, დ.ს.-ს, ც.ხ.-ს, ე.ს.-ს, კ.ბ.-ს, ლ.ბ.-ს, ქ.კ.-ს, ი.ბ.-ს, მ.ყ.-ს, უ.გ.-ს, მ.გ.-ს ჩვენებებით, ამოცნობის ოქმებით, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 ივნისის განაჩენით ნ.რ.-ს მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის განაჩენით მ.ს.-ს მიმართ, საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით პალატას დადგენილად მიაჩნია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის, ასევე ს.გ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ს.გ.-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, (დაზარალებულ ნ.რ.-ს ეპიზოდი); მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, (დაზარალებულ რ.ს.-ს ეპიზოდი); მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, (დაზარალებულ ლ.ბ.-ს ეპიზოდი);

რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინა მისი პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმე და ისე დაუნიშნა სასჯელი, რაც პალატის დასკვნით არ არის უსამართლო და სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების

განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

2013 წლის 24 იანვარს სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მოცემულ საქმეზე დაზარალებულების ნ.რ.-ს და ლ.ბ.-ს ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები ს.გ.-ს მიმართ ამნისტიის კანონის გავრცელების თაობაზე, აგრეთვე, 2013 წლის 21 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებულმა დაზარალებულმა რ.ს.-მ წერილობითი თანხმობა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ ს.გ.-ზე გავრცელდეს საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, პირზე, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელი დანაშაულთა ან/და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებით დაენიშნა, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება თითოეული დანაშაულისა და სასჯელისათვის ცალ-ცალკე.

ამასთანავე, პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიძლება შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენში მსჯავრდებულ ს.გ.-ს მიმართ ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი და ს.გ. უნდა გათავისუფლდეს სასჯელისაგან.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11, მე-17 მუხლებით და 23-ე მუხლის II და IV ნაწილებით, –

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს.გ.-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ.თ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენში მსჯავრდებულ ს.გ.-ს მიმართ ცვლილება იქნეს შეტანილი;

ს.გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ ნ.რ.-ს ეპიზოდი), სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით და გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

ს.გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ რ.ს.-ს ეპიზოდი), სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით და გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

ს.გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ ლ.ბ.-ს ეპიზოდი), სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით და გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

ს.გ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

საქმეზე დართული – 3 ცალი CD დისკი (შპს „ჯეოსელიდან“, „მობიტელიდან“ და „მაგთიკომიდან“ ამოღებული დეტალური ნუსხა), რომელიც ინახება ქ. თბილისის ისანი–სამგორის შს სამმართველოს დეტექტივების განყოფილებაში, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

/გ. კახეთელიძე/